პროლეტარეპო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

10 აგვისტო, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 154 (9821) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ყურადღება! ყურადღება!

სსრ კავშირის სპორტსახკომმა, საკავშირო პროფსაბჭომ კომკავშირის საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის სახტელერადიომ, დოსააფის ცენტრალურმა კომიტეტმა და საკავშირო საზოგადოება „ცოდნამ“ მიიღეს დადგენილება „მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის გაძლიერების შესახებ“. დადგენილებით გათვალისწინებულია ჩატარდეს „ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდის ერთთვიური“.

ერთთვიური დაიწყება 13 აგვისტოს, ფიზკულტურელის საკავშირო დღეს და დამთავრდება 17 სექტემბერს, XXIV ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს.

სსრ კავშირის ჩემპიონატი საბაიდარო ნიჩბოსნოგაში

„გამსვლელი ქულა“—ოქროს მედალი

მოსკოვში „კრილატსკოეს“ კომპლექსის არხზე, დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი საბაიდარო ნიჩბოსნობაში. ჩვენი რესპუბლიკიდან ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისელი კახა ლომოშვილი და ფოთელი ედუარდ ქაშაკაშვილი.

კ. ლომოშვილმა ორი ვერცხლის მედლით დაასრულა ასპარეზობა — მან ჯერ ალექსანდრ მიზგინთან ერთად 1000 მეტრზე ორადგილიანი ბაიდარებით რბოლაში მიაღწია ამ შედეგს, შემდეგ კი ეს წყვილი პუსევ-ბანკოვსკის წყვილს შეუერთდა, იმავე დისტანციაზე ოთხადგილიანი ბაიდარებით გაცურვაში სცადა ბედი და აქაც ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ოთხადგილიანი ბაიდარებით 1000 მეტრზე მონაწილე ის ეკიპაჟი, რომლის წევრიც ე. ქაშაკაშვილი იყო, ფინეთთან მეოთხე მიცურდა.

ჩემპიონატის შედეგების მიხედვით ჩამოყალიბდა სბჭოთა კავშირის მობაიდარეთა ოლიმპიური ნაკრები გუნდი, რომელშიც, მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ოქროს მედლის მფლობელები გაერთიანდნენ.

ტელეტაიპი—ეკიმიხელი



ნოვი სადი. აქ ჩატარდა ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც ორი ასაკობრივი ჯგუფი ასპარეზობდა. ულტიმატუმი ასაკის მოზარდთა შორის შესაბამისად გაიმარჯვეს ფრანც ვოზეკმა (გფრ) და ვერა ელომ (უნგრეთი), უფროსებში — პეტერ კორბელმა (ჩეხოსლოვაკია) და ოტილია ბადეასკუმ.

იოენსუ (ფინეთი). იუნიორ მსროლელთა მსოფლიო ჩემპიონატზე რამდენიმე მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა. მათ შორის აღსანიშნავია მცირეკალიბრიან სტანდარტში სროლის შედეგები. პირად ჩათვლაში ფრუნზელი ვიაჩესლავ ბოჩკარიოვისა და სსრ კავშირის ნაკრების შედეგები (შესაბამისად 592 და 1755 ქულა) ახალი მსოფლიო რეკორდებია.

დუისბურგი. წყალბურთელთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში აშშ-ს ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა. შეჯიბრებაში მსოფლიოს ყველა უძლიერესი კოლექტივი მონაწილეობდა საბჭოთა კავშირისა და იტალიის გუნდების გარდა.

SOS

ფესტივალის ცრემლიანი ფინიში

ფესტივალი თავისთავად გულისხმობს ზეიმურობას, ხალხს, ალალ ურთიერთობას, უშუალობას, მაგრამ ეს ფესტივალი სამარცხვინო აყალმაყალით და ცრემლებით დამთავრდა. ტიროდნენ... ბავშვები.

„მართვეს“ კაპიტანმა ეს-ესაა ჩაიბარა დიპლომი და თასი, მაგრამ მის სახეზე სიხარულის ნიშანწყალი არ ჩანს, პირიქით, უმაწვილი აქაც ვერ იკავებს ცრემლებს. რას ეუბნება აღმზრდელებს ნორჩი სპორტსმენის ეს გამომეტყველება?

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ლაპარაკია მინიკალათბურთში საკავშირო ფესტივალზე, რომელსაც რამდენიმე დღეს მახპინძლობდა თბილისის ბავშვთა კალათბურთის სასახლე. ამ ასპარეზობის ფინალური შეხვედრა გუშინ გაიმართა. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ „მართვე“ და ვილნიუსელთა გუნდი. თავიდან ყველაფერი ნორმალურად წარიმართა. ჩვენი ჭაბუკები იგებდნენ შეხვედრას. და აი, როცა გამარჯვებას ეჭვის ქვეშ არავინ აყენებდა, ჩვენმა მწვრთნელებმა მიიღეს უცნაური გადაწყვეტილება — დაიწყეს მოედანზე შედარებით სუსტ მოთამაშეთა შემოყვანა. მეოთხე ანუ ბოლო პერიოდი თბილისელებმა დათმეს — 6:30, მატჩიც ლიტველებმა მოიგეს — 87:69.

რა მოხდა, რატომ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება მწვრთნელებმა? ცხელ კვალზე ცალკეული დეტალების დაზუსტება არ ხერხდება, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ „მართვეს“ მწვრთნელები და მფარველები შეშინდნენ, — ლიტველთა მწვრთნელების ყურამდე მიაღწია ხმამ, „მართვეში“ გადაზრდილი კალათბურთელები თამაშობენო. სტუმრებმა საკითხის გარკვევა მოინდომეს. ზემოთ უკვე ითქვა რა მოიმოქმედეს დაბნეულმა მასპინძლებმა მოსალოდნელი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად. ბავშვებს ზეიმი ჩამწარდათ. უფროსები ფაქტის მიჩქმალვას „აკრძალული ხერხით“ შეეცადნენ და უარესი კი მოხდა — მატჩის შემდეგ ბავშვები ტიროდნენ, ნერვებს ვეღარ იოკებდნენ. ერთმანეთისკენ იწევდნენ, ერთმანეთს ლანძღავდნენ „მართვეს“ და ფესტივალის მეორე მასპინძლის „ნორჩი დინამოელის“ მოთამაშეთა მშობლები (დინამოელთა მშობლებს სდებდნენ ბრალს ფაქტის გამეყლავნებაში).

ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ხანია ვიბრძვით სპორტში ხიწმინდიათვის, ბევრი მკაცრადაც დაისაჯა, მაგრამ იოლი გზით გამარჯვებისა და სახელის მოხვეჭის მსურველები, როგორც ჩანს, ისევ შემოგვრჩნენ. აქვთ კი ასეთებს უფლება იწოდებოდნენ აღმზრდელებად? რა პასუხს აძლევენ რწმენდაკარგულ ბავშვებს, რით გაამართლებენ ნორჩების ცრემლებს, იმ სულიერ ტრავმას, რომელიც მათ მიაყენეს „აღმზრდელებმა?“

ვიმედოვნებთ, ამ სამარცხვინო ფაქტს ოპერატულად და საგანგებოდ განიხილავენ, ყველაფერი დაზუსტდება, ყველაფერს თავის სახელი დაერქმევა და რედაქციასაც არ დაუგვიანდება პასუხი.

სიმართლე ბოლომდე უნდა ითქვას.

ოსტატობას განაკუთვნებ იმაღლეგენ

თიანეთის ცის ქვეშ...

უკვე 15 წელია თიანეთის სკოლა-ინტერნატი ჩვენი აკრობატების მზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიგონად იქცა. აქ ყოველ ზაფხულს იკრიბებიან სახალხო განათლების სამინისტროს აკრობატიკის რესპუბლიკური სკოლის (დირექტორი მიხეილ გეგელია) აღსაზრდელები. ამ ხანგრძლივი შეკრების დროს დგება ჩვენი რესპუბლიკის აკრობატთა სხვადასხვა ასაკის ნაკრები გუნდები. შარშან სწორედ აქ დაკომპლექტდა ჭაბუკთა გუნდი, რომელმაც სულ რამდენიმე დღეში საქართველოს ღირსება უნდა დაიცვას ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებში.

საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების მწვრთნელი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი თამაზ ბუზიაშვილი:

— თიანეთს აკრობატებთან ერთად რუსთავის ბავშვთა სპორტული სკოლის მხატვრული ტანმოვარჯიშეები, რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მხატვრული ტანმოვარჯიშეები და „შრომითი რეზერვების“ ბატუტზე მხტომელებიც ეწვევნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ წელს სამტრედიაში გაიხსნა აკრობატიკის სექცია და ამ სექციის წევრთა ერთმა ნაწილმა ჩვენთან ერთად გაიარა წვრთნა. აკრობატებს სპორტული სკოლა დაგვითმეს, ხოლო მხატვრული ტანმოვარჯიშეები თიანეთის პირველი სკოლის დარბაზში ვარჯიშობენ. ბატუტისტებმა და მხტომელმა აკრობატებმა უფრო იოლად გადაწყვიტეს საქმე — ისინი ღია ცის ქვეშ მეცადინეობენ. კარგ ამინდში მათ სხვებიც უერთდებიან. სპორტის სამივე სახეობის წარმომ-

ოს. 33-4 33

ჩაებით კონკურსში

იმასთან დაკავშირებით, რომ 13 აგვისტოდან 17 სექტემბრამდე ცხადდება „ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდის ერთთვიური“, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია აცხადებს კონკურსს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (პრესა, რადიო, ტელევიზია) თანმიმდევრულად და სადღეისო მოთხოვნების შესაბამისად სპორტის პროპაგანდის ორგანიზაციაში საუკეთესო კოლექტივების გამოსავლენად. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა ორგანოს — დაწყებული მრავალტირაჟიანი გაზეთიდან. გაწეული მუშაობის შესახებ ცალკეულმა რედაქციებმა, სპორტულმა განყოფილებებმა წერილობითი ანგარიში უნდა წარმოადგინონ 20 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირში (თბილისი 380096, ლენინის, 14).

რეკომენდაციები:

ქვემოთ გთავაზობთ მხოლოდ იმ ძირითად საკითხებს, რომელთა შესახებაც სასურველია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მოსახლეობას მიაწოდონ მასალები „ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდის ერთთვიურთან“ დაკავშირებით:

— პოპულარული მასალები ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეზე.

— „მრგვალი მაგიდა“ სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მონაწილეობით;

— საუბრები მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონებთან;

— ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე მომუშავე საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორების მოზიდვა;

— მასობრივი ინფორმაციების საშუალებების რედაქციების მიერ ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების, გამოჩენილ სპორტსმენებთან შეხვედრების, სპორტულ თემაზე კინოფილმების ჩვენების ორგანიზაცია;

— სპორტის ეროვნულ სახეობებში და ხალხურ თამაშებში ფესტივალების, სხვა ღონისძიებების ჩატარება რედაქციის პრიზზე;

— ადგილებზე გამართული ღონისძიებების გაშუქება;

— მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია.

ჯერჯეროვით 7 გუნდი

როგორც უკვე გაცნობეთ, თურქეთის ქალაქ იზმირში დამთავრებულ თავისუფალი სტილით ჭაბუკ მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე სამი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს საქართველოს ნორჩმა ფალავნებმა. ეს შეჯიბრება საერთოდ პირველად ჩატარდა და ჭიდაობის გულშემატკივრები გვეკითხებიან, თუ რამდენი ქვეყანა დააინტერესა ახალმა ტურნირმა. გაცნობებთ, რომ იზმირში 7 ქვეყნის სპორტსმენები ასპარეზობდნენ და ჩვენს მოჭიდავეებს სამ-სამი შეხვედრის ჩატარება მოუწიათ. გამარჯვებულებმა, ზაზა ზოზირიერმა, კაჩა ლევაძემ და დავით ბაბელაშვილმა ყველა შერკინება მოიგეს, ხოლო ზვიად ლოლუამ (წვრთნელი გოდერძი ფასურიშვილი) ორი მოიგო და ერთი წააგო.

სვით ჩაი-სიმხნევისა და სპორტული სიჩაუქის ელექსირი!

ეს სათაური არც სარეკლამო ჭოწოდებაა, არც წულუკიძელ მეჩაიეთა თხოვნით „ნასროლი“ ლოზუნგი. ჩვენ მხოლოდ ფაქტს აღვნუსხავთ: ამას წინათ წულუკიძელებმა ერთობ პრინციპულ პაექრობაში გაიმარჯვეს და ეს წარმატება თავიანთი ნახელავი „მწვანე ოქროს“ სიკეთითა და სისტემატური ვარჯიშით ახსნეს. რატომ იყო მეჩაიეთათვის ეს შეხვედრა ერთობ პრინციპული? მეტოქეებად მეღვინეები ჰყავდათ და იმიტომ.

გახსოვთ, ალბათ: გასული წლის დამლევს ქუთაისში პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საქალაქო საბჭოს და ქუთაისში „ლელოს“ საკორესპონდენტო პუნქტის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა ერთ ძალზე საინტერესო წამოწყებას — მეზობელთა სპორტულ პაექრობას. მაშინ თავიანთ უბნელებს საპაექროდ გაუძღვნენ სახელოვანი ქართველი ფალავნები თეიმურაზ აფხაზავა და ესტატე გოგლიჩიძე. ამ ასპარეზობას დიდი მოწონება ხვდა წილად და ისეთი პოპულარობა მოიპოვა, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭოს და „ლელოს“ კორპუნქტს თავისებური შტაბის შექმნაც კი დასჭირდათ შეჯიბრების დებულების შესადგენად და მსურველთა განცხადებების მოსაწესრიგებლად. თავდაპირველად ამ შეჯიბრების ჩატარება გათვალისწინებული იყო კვარტალში ერთხელ, მაგრამ ახლა მეზობელთა სპორტული შეხვედრები ყოველ შაბათ-კვირას თუ არა, თვეში ერთხელ მაინც ეწყობა.

ამ ცოტა ხნის წინათ, როცა შეჯიბრებათა შტაბ-ბინაში პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარესთან თ. ერემეიშვილთან მომავალ შეჯიბრებებზე ვმსჯელობდით, წულუკიძის ჩაის საწონი ფაბრიკის დელეგაცია გვესტუმრა საწარმოს დირექტორის როლანდ შოვნაძის მეთაურობით. მან შტაბს თავისი კოლექტივის მიმართვა გადასცა და თან დასძინა:

— პირველად „ლელოს“ ფურცლებიდან შევიტყვეთ, ქუთაისში მეზობლების სპორტული პაექრობა რომ გამართულა. ძალიან დავინტერესდით და მომდევნო შეხვედრებს თავად დავესწარით. ახლა იმისთვის გეწვიეთ, რომ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოგვცეთ. **მარტო კარის მეზობლებმა ხომ არ უნდა იასპარეზონ, რამ გაყო ხონი და ქუთაისი? მეზობლობა სანაქებო გვაქვს და თუ ახეა, ამ შეჯიბრებაშიც მიგვაღებინეთ მონაწილეობა. თქვენ რეგბისტებს ხომ ვმახსოვნდლობთ, ახლა ჩვენ ჩამოვალთ და ვიასპარეზებთ ქუთაისში.**

დირექტორის სიტყვებს წულუკიძელთა დელეგაციის სხვა წევრებმაც აუბეს მხარი და აბა, უარს ვინ გაუბედავდა საასპარეზოდ შემართულ ამ ბიჭებს, რომლებიც, დასტურს თუ ვერ მიიღებდნენ, გიორგი მახარაშვილიეთ შტაბის თითოეული წევრის საჭიდაოდ გაწვევას აპირებდნენ. ამ დროს იყო, შეკრებილებმა რომ გადაწყვიტეს: მოდით, წულუკიძელი მეჩაიეები და სამტრედიელი მეღვინეები ჩვენთან, ქუთაისში შევჯიბროთ ერთმანეთს, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გადაწყდეს ჩაისა და ღვინის მრავალსაუკუნოვანი დავა...

შეტოქეები აქტიურად შეუდგნენ მომავალი პაექრობისთვის მზადებას, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეღვინეები, ცოტა არ იყოს, არხეინად შეხვდნენ მეჩაიეთა გამოწვევას და ეტყობა, გამარჯვების აღსანიშნავ ზეიმსაც წინასწარ გეგმავდნენ.

მაგრამ დაიწყო თუ არა შეჯიბრება, მეღვინეებს ნირი წაუხდათ. პირველივე სახეობაში, სიმძიმეების აწევაში, წულუკიძელები დაწინაურდნენ, მას შემდეგ კი, ჩაის ქარხნის ლიდერმა ლევან კირთაძემ ფუთიანი საწონი 46-ჯერ რომ ასწია, მათი გამარჯვება უდავო გახდა. პირველ სახეობაშივე მოპოვებულმა დამაჯერებელმა წარმატებამ ძალა შემატა წულუკიძელებს, მათ ხელის გადაწევაში, ბურთის მიზანში სროლაში, ბაგირის გადაძალვაში, ფუხბურთში და სხვა სახეობებშიც აჯობეს მეტოქეებს და ღვინის ქარხნის გუნდის წარმომადგენელს ორდიკო გეგეჭკორს თეთრი პირსახოცის მოძებნა დასჭირდა „კაპიტულაციის“ გამოსაცხადებლად. მან და გუნდის კაპიტანმა გია ჯანჯალიამ პირველებმა მიულოცეს გამარჯვება წულუკიძის ჩაის ქარხნის ახალგაზრდულ კოლექტივს.

...თუმცა ვნებათაღელვა ამით არ დაცხრალა. როცა წულუკიძელთა გუნდის წევრების მეუღლეებმა, დებმა და საცოლეებმა დამარცხებულებს სურნელოვანი, ქაფქაფა ჩაი მიართვეს და მოღონიერება უსურვეს, ერთმა მათგანმა, შეჯიბრების ყველაზე ხნიერმა მონაწილემ ვეღარ მოითმინა და ყველას გასაგონად მიმართა ამ სტრიქონების ავტორს:

— არ დაწერო, ბიძიკო, „ლელოში“ ჩვენი შერცხვენის ამბავი და კაი სამარკო ღვინო ჩვენზე იყოს. პირობას ვიძლევით, რომ ვარჯიშს მოვუმატებთ და ვნახოთ, შემოდგომაზე ვინ ვის აჯობებს.

ერთ სამტრედიელს ეს განცხადება ზედმეტად ოპტიმისტური ეჩვენა და ასეთი ვერსია წამოაყენა — არა, ბიძია, მაგათ მომავალი შეჯიბრების წინ ერთი სპალნე ღვინო თუ არ „შევუგზავნეთ“, არაფერი გვეშველებაო.

წულუკიძელებს არც ამაზე დაუხევიათ უკან.

— ღვინო ნაღდად გვჭირდება, ამ ბიჭებს რომ უყურეთ, შემოდგომაზე უმეტესობას ქორწილი აქვს გადასახდელი და განმეორებით შეხვედრაში თავის შერცხვენას ვინ აპატიებს. შენ კი, შეგობარო, დაწერე და ყველას გააგებინე, როგორ დაამარცხეს მეჩაიეებმა მეღვინეები და უმაღლესი ხარისხის ჩაი, ისეთი, სტუმრებთან რომ არ შეგარცხვენს და წერასაც გაგიადვილებს, ჩვენზე იყოს.

სიმართლე გითხრათ, ბევრი ვიფიქრე, ვისთვის დამეჯერებინა, მაგრამ აი, დაიბეჭდა ეს წერილი და თავად მიხვდებით, საით „გადავხარე“ სასწორი.

თამაზ ხარაბაძე,
„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი.

ქუთაისი.

ლაბტის წრეში

სპორტის ახალი სახეობა თუ...

არსებული ბიბლიოთეკა

პატივცემულო რედაქციავ, ალბათ ჩვენს გარდა სხვაც ბევრი გაწუხებთ მოედნების თაობაზე. ამჯერად ჩვენ ცოტა უჩვეულო თხოვნა გვაქვს. თქვენი გაზეთის მარტის ნომერში გამოქვეყნდა განცხადება „სპორტული ბაზების მოწესრიგება-კეთილმოწყობის ერთთვიურის შესახებ“. ამ ცნობაში, ჩვენი აზრით, ყველაფერი ნათელი იყო — ის, რომ ერთთვიური აპრილში დაიწყებოდა და დამთავრდებოდა. სამწუხაროდ, ჩვენი სახლმმართველობის მესვეურებმა ეს განცხადება უკუღმა გაიგეს. მათ „მოწესრიგების“ ნაცვლად აპრილის ბოლოს კალათბურთის ფარები მოაშორეს ანძებს. თავიდან, ბუნებრივია, ვიფიქრეთ, რომ ახლები უნდა დაედგათ და გაგვიხარდა მათი თუნდაც დაგვიანებული ოპერატიულობა, მაგრამ აპრილს მაისი მოჰყვა, მაისს — ივნისი, მერე აგვისტოც კარს მოგვადგა, ჩვენნ გასაჭირს კი არაფერი ემჩველა. არ ვიცი, რა ჩაიფიქრეს ჩვენი სახლმმართველობის მუშაკებმა: იქნებ სპორტის ახალ სახეობას გვთავაზობენ, რომელსაც ფარები არ სჭირდება? ამას ის გვაფიქრებინებს, რომ ზოგიერთი ბავშვი ანძაზე ცოცვაში უკვე საკმაოდ დაოსტატდა — თვალის დახამხამებაში მოექცევა ხოლმე კენწეროზე. ჩვენი აზრით, სპორტის ამ ახალი „სახეობის“ განვითარებას ფარები ხელს არ შეუშლის, პირიქით, მას დამცველი ფუნქციაც ექნება.

ახე რომ, თქვენი გაზეთის საშუალებით იქნებ გვიშუამდგომლოთ და ფარები ისევ დაამაგრონ ანძებზე.

თემქის დასახლების X კვარტალის 26-ე კორპუსის მცხოვრებლები.

P.S.: ფოტოხურათის ხარისხის გამო არ დაგვემდუროთ.

სტუდენტები — „ლელოს“ კორესპონდენტები

ექსპერიმენტის სჯერათ

როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი ჩვენს ინსტიტუტს ეწვია, საკონფერენციო დარბაზში თავშოყრილ სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან საუბარი მან დაიწყო ინსტიტუტთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა ექსპერიმენტული სპორტული სკოლის დახასიათებით. „ძნელი იყო, — თქვა მან, — აუცილებლად გეცქირა თვალებგაბრწყინებული ნორჩებისათვის, რომლებიც სპორტულ ფორმებში კოხტად გამოწყობილნი ვარჯიშობდნენ მძლეოსნურ მანეჟში. სწორედ ასეთ დაწესებულებებში უნდა იქედებოდეს ქართული სპორტის მომავალი!“

დღეს ამ სკოლაში 1000-ზე მეტი ბავშვი ეუფლება სპორტის საფუძვლებს. მათთან პედაგოგიური მუშაობის ჭაპანს ძირითადად უფროსკურსელი სტუდენტები ეწევიან.

ექსპერიმენტი, რომელიც ამ სკოლაში მიმდინარეობს, ჭეშმარიტად გაამართლებს. მაგრამ მახამდე სკოლის ხელმძღვანელობას (დირექტორი ნ. ლობჟანიძე) ბევრი პრობლემის გადაჭრა უწევს. ერთ-ერთი ასეთი გაუთვალისწინებელი პრობლემა იყო იმ მშობელთა დასაქმება, რომლებიც სავარჯიშოდ მოაცილებენ შვილებს. მანეჟში დილიდან საღამომდე 5-6 ჯგუფი მეცადინეობს; ყოველ მეცადინეობას 20-30 მშობელი ესწრება, რომლებიც საათნახევრის განმავლობაში უსაქმოდ არიან. და აი, გადაწყდა სასარგებლოდ გამოეყენებინათ მშობელთა თავისუფალი დრო; სახელდახელოდ მოწყობილ აუდიტორიაში მათ უკითხავენ ლექციებს თემაზე: „საოჯახო ფიზიკური აღზრდის დღევანდელი პრობლემები“. ლექტორმა ა. ციბაძემ წაიკითხა 12 ლექცია. აი, რა განაცხადეს მშობლებმა: „ლექციებმა მოგვცა გარკვეული განათლება ბავშვთა ფიზიკურ აღზრდაში და ამასთანავე სერიოზულად დაგვაფიქრა ყველა. შათი წყალობით ჩვენ არა მარტო ვიცვლით დამოკიდებულებას ბავშვთა ფიზიკური აღზრდისადმი, არამედ პრაქტიკულად ამოვუდგებით მხარში სკოლებს, სადაც ჩვენი შვილები სწავლობენ“.

— გჯერათ ამ სკოლაში მიმდინარე ექსპერიმენტისა? — ვკითხე ერთ-ერთ მშობელს.

— რომ არ მჯეროდეს, აქამდე ბავშვი უკვე გაყვანილი მეყოლებოდა სპორტული სკოლიდან! — იყო პასუხი.

ზაფხულში ნორჩი მოვარჯიშეების დიდი ჯგუფი ორი თვით გაემგზავრა რაჭის სოფელ ქვაშხიეთის ახალმოწყობილ სპორტულ ბანაკში.

გულით ვხარობ, რომ ამ სასარგებლო საქმიანობაში მეც ვიღებ მონაწილეობას, როგორც სტუდენტი და მომავალი პედაგოგი.

ბ. ხაჟეპარაშვილი,
ფიზიკულტურის ინსტიტუტის საზოგადოებრივი პროფესიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების II კურსის სტუდენტი.

ბანაკი ახალ დამსვენებლებს ელის

ზაფხულის ცხელი, სულისშემხუთველი დღეა, წყნეთში კი სასიამოვნოდ გრილა.

ბუნების სილამაზეს კარგად შეხამებოდა ბანაკი „მზიური“—კორპუსები მწვანეში ჩაფლულიყო, ისმოდა ჩიტების ჭიკჭიკი. მასპინძელთა კეთილმოსურნეობას ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ. ირგვლივ საოცარი სისუფთავეა. ბავშვების სათუთი ხელი ატყვია ყოველ ნივთს. აქვეა მანდარინისა და ლიმონის ნერგები, რომლებიც ხობელ ბავშვებს ჩამოუტანიათ.

ბანაკში ბევრი დამსვენებელია— თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, კასპიდან, ხელვაჩაურიდან... ერთი სიტყვით, საქართველოს ყველა კუთხიდან შეკრებილან პატარები.

ბანაკის ხელმძღვანელს იაკობ ბარამიძეს ვეცნობი. აშკარაა, რომ იგი ძალსა და ენერგიას არ ზოგავს ბანაკის კეთილმოწყობისთვის, იმისათვის, რომ ბავშვებმა შინაარსიანად და ხალისიანად დაისვენონ. მას მხარში გამოცდილი პედაგოგები უდგანან. აკაკი გოშაძე, მაგალითად, 38 წელიწადია ფიზკულტურის მასწავლებელია და, ცხადია, ბავშვებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ბავშვებსაც უყვართ აკაკი მასწავლებელი. სპორტულ ღონისძიებათა სიმრავლე, ხალისიანი შეჯიბრებები სწორედ მისი დამსახურებაა. ბავშვების მუდმივ განკარგულებაშია ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოასფალტებული მოედნები.

პატარები ხალისით საუბრობენ თავიანთ სპორტულ გამარჯვებებზე, ამაყობენ ქების სიგელებით. განსაკუთრებული აღტაცებით იგონებენ გფრ-ის ახალგაზრდულ დელეგაციასთან შეხვედრას და მათთან მოპოვებულ გამარჯვებას ფეხბურთში. მოწიწებით იხსენებენ პროფესორ უილიამ პენს, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ბანაკის საქმიანობას და თქვა: მოხარული ვიქნები, ამ მზიურ ბანაკში ჩემი შვილიშვილებიც თუ დაისვენებენო.

ბანაკში გატარებულ ყოველ დღეს ბავშვებისთვის სიხარული და სიხალისე მოაქვს. ერთმანეთს ცვლიან მხიარული სტარტები, დისპუტები, დისკოთეკები, იუმორის საღამოები...

ბანაკი სულ 350 ბავშვისთვისაა აშენებული, აქ მოხვედრის მსურველი კი გაცილებით მეტია. მომავალი წლიდან „მზიური“ მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს და უფრო მეტ ბავშვს გაუხარებს გულს.

დრო სწრაფად გადის... ბავშვებს უძნელდებათ ერთმანეთთან განშორება. ბანაკი კი ახალ დამსვენებლებს ელის.

ანი ფარეჯიშვილი,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.

როგორ ვისვენებთ?

გუბისწყალზე სათევზაოდ...

სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთში, მდინარე გუბისწყალზე დიდი გამოცოცხლება იყო. აქ თავი მოიყარეს სპორტული თევზაობის მოყვარულებმა, რომლებიც სამტრედიის მუშათა I სპარტაკიადის მონაწილენი იყვნენ.

შეჯიბრების დებულებით ასპარეზობას ორი გამარჯვებული უნდა გამოევლინა: ერთი — დაჭერილ თევზთა რაოდენობით, მეორე — წონის მიხედვით.

22 დაჭერილი თევზით პირველ ადგილზე გავიდა ღახირის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენელი ჯ. შენგელია, წონის მიხედვით რაისაბჭოს ჩემპიონი გახდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მეთევზე გ. ნიკურაძე, რომელმაც 950 გრამიანი თევზი დაიჭირა.

გუნდურ პირველობაში გაიმარჯვა ღახირის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივის გუნდმა.

ჯონი ვაშაკიძე.

მოკლედ

ვანში ჩატარდა სარაიონო პირველობა ლელობურთში გაზეთ „გათიადის“ თასზე.

ყველაზე უკეთ იასპარეზეს სალხინოს კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა — ისინი რაიონის ჩემპიონები გახდნენ. ამას წინათ მათ ბაზაზე დაკომპლექტებულმა ვანის რაიონის ლელობურთელებმა საქართველოს პირველობის ზონალური ტურნირის მონაწილეებს უმასპინძლეს. გუნდმა ყველა შეტოქე დაამარცხა და ამ შეჯიბრებაშიც პირველი ადგილი დაიკავა.

ირაკლი ნიკოლეიშვილი.

ეჭვსი პრიზიორი

ᲰᲘᲓᲐᲛᲑᲘᲡ საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში ეს ტურნირი უმაღლეს კატეგორიას განეკუთვნება. სწორედ ამიტომ კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში ჩეხოსლოვაკიის დიდი პრიზის გათამაშებამ თითქმის ყველა უძლიერეს ფალავანს მოუყარა თავი. ბევრი ქვეყანა მას განიხილავდა როგორც ოლიმპიური სამზადისის ერთ-ერთ დასკვნით ეტაპს და მასზე გარკვეულ იმედებსაც ამყარებდა. კლასიკოსთა შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირი წარმოდგენილი იყო საქართველოს გუნდით (გამოდიოდა შვიდი სპორტსმენი ხუთ წონით კატეგორიაში), თავისუფალში კი მოსკოვის ნაკრებით.

გასაგები მიზეზების გამო, „კლასიკოსთა“ შეჯიბრების შედეგები უფრო გვაინტერესებდა და აქცენტიც ამ წერილში სწორედ მასზე გავაკეთეთ. ჯერ ზოგადად გავაცნობთ ტურნირის შედეგებს. შვიდი ქართველი მოჭიდავიდან ექვსმა საპრიზო ადგილი დაიკავა — ორმა პირველი ჯილდო დაიმსახურა, ერთმა — მეორე და სამმა — მესამე.

82 კგ-ში ტურნირის ჩემპიონობა დარჩა (თბილისი, პროფკავშირთა „სპორტსაზოგადოება) გახდა, რომელმაც ფინალამდე სამი შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში დარჩიას მეტოქე ჩეხოსლოვაკიელი პიოტრ სტეხელი იყო, მოჭიდავე, რომელზეც ასპარეზობის მასპინძლები დიდ იმედებს ამყარებენ. სხვათა შორის, ეს შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიამაც კი გადასცა, იმდენად იყვნენ დარწმუნებული თავისი ფალავნის წარმატებაში. მაგრამ გულშემატკივართა ვარაუდი არ გამართლდა. დარჩიამ ორთაბრძოლა მოიგო ანგარიშით 15:1 და პირველ პრიზს დაეპატრონა.

ასევე წარმატებით იასპარეზა 100 კგ წონაში თენგიზ თედორაძემ (თბილისი, ასკ). მან რომ ყველა მეტოქე წმინდად დაამარცხა (მათ შორის ფინალში ფინეთის წარმომადგენელი ჰუდა ახოკა). ეს კიდევ არაფერია. თედორაძემ მეტოქეებს მხოლოდ ერთი ქულა დაუთმო, რაც ქართველი მოჭიდავის დიდ უპირატესობაზე მეტყველებს. შეჯიბრებაზე დაწესებული რომ ყოფილიყო პრიზი საუკეთესო ჭიდაობისთვის, უსათუოდ თენგიზ თედორაძე მიიღებდა.

ვერცხლის მედალი 68 კგ წონაში ქუთაისის დინამოელ ვასილ ონიანს ხვდა წილად. მან ერთადერთი შეხვედრა წააგო ᲒᲓᲠ-ის ოლიმპიური ნაკრების პირველ ნომერ იანის ზამანდურიდთან და ისიც მინიმალური სხვაობით — 1:2.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა გელა პაპაშვილმაც (თბილისი, ასკ), რომელმაც ერთადერთი შეხვედრა წააგო ᲒᲤᲠ-ის წარმომადგენელ მარკუს შერერთან, მერე კი მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ამკარად დაჯაბნა ტურნირის მასპინძელი იან ჰმილი (15:0).

ბრინჯაოს პრიზები დაიმსახურეს, აგრეთვე, 100 კგ-ში ნაიბი დვალიძემ (თბილისი, ასკ) და მძიმეში — ზაურ ცხადაძემ (თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება). აღსანიშნავია, რომ დვალიძემ ერთადერთი ბრძოლა წააგო ფინელ ჰუდა ახოკასთან (3:4), მესამე ადგილისთვის გამართულ შეხვედრაში კი კანადელ სტივენ მარშალს აჯობა. ზაურ ცხადაძე არც ისე დიდი ხანია, რაც ჭიდაობს (ადრე იგი ხელბურთს თამაშობდა), ამიტომ მის მიერ დაკავებული [illegible] წარმატებად [illegible] — უფრო, რომ ორი შეხვედრა მან წმინდად [illegible]

ჩვენი გუნდის მეშვიდე მოსაწილე ჯემალ ბაკურიძე (თბილისი, „დინამო“) ცოტათი დაიჩაგრა. პირველ შეხვედრაში იგი მოხსნეს ფეხით ჭიდაობის მიზეზით და ამის შემდეგ საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა რიგებს გამოაკლდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: მარკ შერერი (გფრ), ლარს რონინგენი (ნორვეგია), პატრიკ მაურერი (საფრანგეთი), მარკ ბიუტნერი (გდრ), იანის ზამანდურიდი (გდრ), მარჩელ მიშლერი (საფრანგეთი), ბეგი დარჩია (საქართველო), ტონი ჰანუდა (ფინეთი), თენგიზ თედორაძე (საქართველო), ლუბომირ დავიდი (ჩეხოსლოვაკია).

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირში საბჭოთა სპორტსმენთაგან გამარჯვება მოიპოვა მხოლოდ რუდიკ არუთინიანმა (მოსკოვი, 90 კგ).

ᲰᲘᲓᲐᲛᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ



ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ ᲐᲦᲐᲓᲒᲘᲜᲔᲡ

ᲐᲓᲠᲔ, გარდაბნის რაიონის სოფელ შინდისში ზაფხულობით, ყოველ შაბათ-კვირას, იმართებოდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. აქ ხალისით ჩამოდიოდნენ ახალგაზრდები მეზობელი სოფლებიდან: წაკისიდან, ტაბახმელიდან, ოქროყანიდან, წყნეთიდან, კოჯრიდან, თელეთიდან, კუმისიდან, კოდიდან, მარტყოფიდან და ნახერხმოყრილ არენაზე ცდიდნენ თავიანთ ძალას.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჭიდაობის საღამოები შინდისში აღარ ჩატარებულა. ჩვენს ჭიდაობის მოყვარულებს ისღა დარჩენოდათ, რომ შაბათობით დასწრებოდნენ ქართულ ჭიდაობაში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თასის გათამაშებას ცირკის შენობაში.

შინდისელმა ენთუზიასტებმა ა. პაპაშვილმა, გ. ჯავახიშვილმა, რ. ზარქუამ და სხვებმა გადაწყვიტეს ადედგინათ მივიწყებული ტრადიცია. შინდისელებს დიდი დახმარება გაუწია ტაბახმელის სასოფლო საბჭომ (საბჭოს თავმჯდომარე შ. გლოველი), სოფლის ახალგაზრდობას სამამულო ომში დაღუპულ მეომართა სკვერთან გამოუყვეს ტერიტორია საქიდაო არენის მოსაწყობად.

წლეულს ამ მოედანზე კვლავ გაისმა საქიდაოს ხმა და ნახერხმოყრილ სარბიელზე ახალგაზრდა მოჭიდავეებმა გაიმართეს პირველი შეხვედრები. სეზონის გახსნასთან დაკავშირებით სამახსოვრო თასები გათამაშდა ოთხ წონით კატეგორიაში, სადაც გაიმარჯვეს ჯავახიშვილმა, ზარქუამ, პაპაიშვილმა (სამივე — შინდისი) და ოქროყანელმა მათიაშვილმა.

შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში ამიერიდან გაიმართება ყოველ შაბათ-კვირას შინდისის საქიდაო არენაზე, მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, აწონვა იწყება 18 საათზე, შეჯიბრება კი — 19 საათზე. გათამაშდება ფასიანი პრიზები.

ქართული ჭიდაობის მოყვარულებს თბილისიდან და ახლო რაიონებიდან გეპატიჟებით მიიღოთ მონაწილეობა ამ შეჯიბრებაში.

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲯᲘᲯᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
შინდისი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-18 ტურის მატჩები.

თბილისის დინამოელები დონეცკში შეხვდნენ ადგილობრივ „შახტიორს“. თამაში დამთავრდა დონეცკელთა გამარჯვებით — 3:1.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები:

„ᲓᲜᲔᲞᲠᲘ“ — „ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ“ 3:0
„ᲛᲔᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘ“ — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ᲛᲝ. 3:1
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ Კ. — „ᲫᲐᲚᲒᲘᲠᲘᲜᲘ“ 3:1
„ᲙᲐᲘᲠᲐᲢᲘ“ — „ᲖᲔᲜᲘᲢᲘ“ 1:1

ᲛᲡᲐᲯᲗᲐ ᲠᲔᲔᲡᲢᲠᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ფეხბურთის ფედერაცია გვაუწყებს იმ არბიტრთა ვინაობას, ვინც იმსაჯებს სსრ კავშირის ჩემპიონატისა და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მეოთხედფინალური მატჩების შეხვედრებს აგვისტოში.

„დნეპრი“ — „დინამო“ (თბილისი). 13 აგვისტო. **ს. ᲰუᲮაინოვი (მოსკოვი).**

„დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი). 17 აგვისტო. **ნ. ᲘუᲠოვი (ტომსკი).**

„დინამო“ (თბილისი) — „ნეფტჩი“. 24 აგვისტო. **ვ. Ფილიპოვი (მოსკოვი).**

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის მეოთხედფინალურ მატჩს ხარკოვის „მეტალისტსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის 29 აგვისტოს იმსაჯებს თბილისელი არბიტრი თ. ლაცაბიძე.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲑᲐ

II ᲚᲘᲒᲐ

გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები: „სპარტაკი“ (ტამბოვი) — „ურალანი“ (ელისტა) 1:0, „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 1:1, „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 1:1, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „ლუჩი“ (აზოვი) 1:0, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 2:0, „სპარტაკი“ (ანაპა) — „ნარტი“ (ჩერკესკი) 1:0, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 3:0, „ისკრა“ (ერევანი) — „ოლიმპია“ (ლენინგრადი) 2:0, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „მერცხალი“ (ზახარაძე) 4:2, „დინამო“ (სოხუმი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:1.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ
III ᲖᲝᲜᲐ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“	22	13	3	6	36-21	29
„სპარტ.“ ოქ.	22	13	2	7	40-28	28
„კოლხეთი“	22	11	4	7	29-26	26
„ცემენტი“	20	10	6	4	26-18	26
„სპარტ.“ ნჩ.	20	11	3	6	30-20	25
„მერცხალი“	22	11	2	9	28-26	24
„სპარტ.“ ტმ.	21	11	0	10	29-35	22
„ლორი“	20	10	2	8	28-30	22
„ლოკომ.“	21	9	4	8	29-25	22
„დინამო“ ს.	22	9	4	9	25-25	22
„ლუჩი“	22	9	3	10	25-24	21
„მეტალურ.“	19	8	3	8	32-20	19
„დრუჟბა“	21	8	3	10	24-21	19
„ისკრა“	22	8	3	11	23-39	19
„ურალანი“	21	7	4	10	29-28	18
„ოლიმპია“	21	7	4	10	23-36	18
„მაშუკი“	22	4	9	9	19-26	17
„ვოლგარი“	21	7	2	12	18-28	16
„ნარტი“	21	5	6	10	27-33	16
„სპარტ.“ ან.	22	7	1	14	21-33	15

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

რუსპუბლიკის საფეხბურთო თასის გათამაშების პირველ ტურში ხობის „კოლხეთმა“ ანგარიშით 3:1 დამარცხა ჩობატაურის „ბახმარო“.

ამრიგად, საქართველოს თასის მერვეედფინალურ მატჩში, რომელიც 11 აგვისტოს გაიმართება, ხობელ ფეხბურთელთა მეტოქე ზუგდიდის „დინამო“ იქნება.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲓᲐᲜ

გუშინ ჩვენს რედაქციას ეწვია ფეხბურთის მოყვარული, თბილისელ „დინამოს“ გულშემატკივარი, რომელმაც ეს წერილი გადმოგვცა. ჩვენი სტუმარი გახლდათ ისრაელში მცხოვრები ისრაელ-საქართველოს მეგობრული და კულტურული კავშირის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბორის სეფიაშვილი, რომელმაც ქართველ ებრაელთა მიერ დაწერილი ეს წერილი შემოგვთავაზა „ლელოში“ გამოსაქვეყნებლად.

წერილს ვაქვეყნებთ უოველგვარი შესწორების გარეშე.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲐᲐ...

რამდენი სიხარული მოუნიჭებია ჩვენთვის ამ ორ სიტყვას — „დინამო“, თბილისი! რამდენი სიხარულის ცრემლი დაგვიღვრია, რამდენი სიცილი და ტირილი ერთმანეთში აგვრევია, რამდენი სიამაყე გვიგვრძნია...

შორეულ ისრაელში თქვენით ვხარობდით, ვამაყობდით. ჯერ კიდევ არ დაგვივიწყნია დიუსელდორფი. თქვენთან ერთად ვიუყვით ინგლისის, ავსტრიის და გერმანიის სტადიონებზე და ამაყად გავიძახდით ამ ორ ძვირფას სიტყვას — „დინამო“, თბილისი! ეს სიტყვები მალამოსავით გვეცხებოდა .იარაზე სამშობლოსგან დაშორებულ გულშემატკივრებს. ჩვენმა ბავშვებმაც, რომლებიც ისრაელში დაიბადნენ, იციან თუ რა არის თბილისის „დინამო“.

ამ კრიზისის ქამს, რომელშიც ჩვენი საყვარელი გუნდი იმყოფება, გვწამს, რომ ბიჭები გამოფხიზლდებიან და ისევ დაიგუგუნებს სტადიონებზე თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს დიდება, ჩვენც ისევ გავიხარებთ მათი კარგი თამაშით და გამარჯვებებით.

ძვირფასო დინამოელებო, თქვენ შეგწევთ ძალა ამ საკალალო შდგომარეობიდან გამოსასვლელად და იმედი გვაქვს, რომ ამას შეძლებთ. თქვენ ხომ ბორის პაიჭაძის, გაიოზ ჯეჯელავას, ავთანდილ ღოღობერიძის, შოთა იამანიძის, მიხეილ მესხის, მურთაზ ხურცილავას და სხვა შესანიშნავი ჩვენი ფეხბურთელების დიდი პლეადის გამგრძელებლები ხართ.

იმედი გვაქვს კიდევ გამეორდება დიუსელდორფის ტრიუმფი, ჩვენც ისევ ვინავარდებთ და ვიზეიმებთ ისრაელის ქუჩებში, როგორც ეს იყო იმ გამარჯვების დღეს.

თქვენი გამარჯვება და დიდება მთელი საქართველოს დიდებაა და ჩვენც ხომ მისი ნაწილი ვართ!

ჩვენი გულები და სურვილები თქვენთან არის, ჩვენო ძვირფასო დინამოელებო!

ისრაელში მცხოვრებ გულშემატკივართა სახელით, ისრაელ-საქართველოს მეგობრული და კულტურული კავშირის ორგანიზაციის ხელმძღვანელი
ᲑᲝᲠᲘᲡ ᲡᲔᲤᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1988 ᲬᲔᲚᲘ.
ისრაელი,
ᲐᲨᲓᲝᲓᲘ.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

1982 ᲬᲚᲘᲡ მსოფლიო ჩემპიონი იტალიელი ფრანკო კაუზიო თავს ანებებს ფეხბურთს. მან ეროვნულ ჩემპიონატებში 700 მატჩი ჩაატარა და 76 გოლი გაიტანა. „იუვენტუსში“ თამაშის დროს არაერთგზის იყო ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი, ბოლო წლებში იგი მეორე ლიგაში თამაშობდა („ლეჩე“, „ტრიესტინა“, „უდინეზე“).

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ირლანდიის საფეხბურთო კავშირმა კიდევ ოთხი წლით განაახლა კონტრაქტი ნაკრების მწვრთნელ ბილი ბინგჰემთან.

ᲑᲔᲚᲒᲘᲐᲨᲘ ორი ჩეხი ფეხბურთელი ითამაშებს, „ბოჰემიანსის“ ნახევარმცველი ზელენსკი „გენტში“ ჩაიირიცხა, „ბანიკის“ მცველი ზაიაროში კი „ლა როშში“.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ჩემპიონატში წარუმატებლობის შემდეგ ესპანეთის „ბარსელონას“ ხელმძღვანელობამ თხუთმეტი ფეხბურთელი დაითხოვა, გუნდში დარჩნენ მხოლოდ სუბისარეტა, კალდერე, კარასკო, რობერტო, ხულიო ალბერტო და ლინეკერი. დათხოვილთა შორის არიან: ალესანკო, გერარდი, ვიქტორი, უელსელი ჰიუზი, გერმანელი შუსტერი (იგი მადრიდის „რეალში“ დაბრუნდა) და სხვ.

47 ᲬᲚᲘᲡ დიორდ მეზეი, რომელიც უნგრეთის ნაკრებს 1983-1986 წლებში წვრთნიდა, კვლავ დაინიშნა ამ პოსტზე, თანაც 6 წლით. მეზეი გუნდთან 1994 წლამდე იმუშავებს.

ᲛᲘᲚᲐᲜᲘᲡ „ინტერის“ ღირსებას მომავალი წლიდან რამდენიმე ახალი მოთამაშე დაიცავს: გფრ-ის ნაკრების კაპიტანი მათეუსი, ამ გუნდის მცველი ბრემე და ალეირელი რაბაჰ მაჯერი (იგი ბელგიელ შიფოს შეცვლის).

32 ᲬᲚᲘᲡ ინგლისელი ტონი ვუდკოკი კვლავ 'გფრ-ის „კიოლნში“ ითამაშებს.

„ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘ“ იუგოსლავიელი მწვრთნელის ტომისლავ ივიჩის ხელმძღვანელობით შარშან ქვეყნის ჩემპიონატიცა და თასიც მოიგო. ამიერიდან იგი საფრანგეთში გადავა და „სენტ ეტიენს“ ჩაუდგება სათავეში.

ᲡᲐᲥᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ ᲫᲜᲐᲓ არის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლოს. ქვეყნის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა განაცხადა, რომ იგი ამ უფლებისთვის ოფიციალურად იბრძოლებს.

(ᲡᲐᲙ. ᲘᲜᲤ.).

ᲐᲕᲢᲝᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ფირმა „სუგელმა“ თავისი პროდუქციის რეკლამაში მონაწილეობისთვის ცნობილ არგენტინელ ფეხბურთელს დიეგო არმანდო მარადონას ოთხი უახლესი მარკის ავტომობილი და 80 ათასი დოლარი შესთავაზა. იგივე წინადადებით მიმართა „ვარსკვლავს“ სპორტული ტანსაცმლის იტალიურმა ფირმა „დიადორმა“, ოლონდ ჰონორარის თანხა 6 მილიონ დოლარამდე გაზარდა. მარადონამ ორივე კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ამ დღეებში ფეხბურთელმა კიდევ ერთი კონტრაქტი დასდო — კლუბ „ნაპოლისთან“, სადაც ამჯერად გამოდის. შეთანხმებით გათვალისწინებულია, რომ მარადონა „ნაპოლში“ ითამაშებს 1993 წლამდე და 13 მილიონ დოლარს მიიღებს.

ევროპის ჩემპიონი — ჩემპიონატზე

როგორც ვიუწყებოდით, ველიკო-ტირნოვოში (ბულგარეთი) გამართულ იუნიორ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატში (გოგონები) პირველი ადგილი საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მოიპოვა. გამარჯვებულ გუნდში თამაშობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი მედეა მხეიძეც. იგი, იხევე როგორც კოლექტივის სხვა წევრები, ოქროს მედლით დაჯილდოვდა. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ევროპის ჩემპიონს და სთხოვა მას პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

● პრესაში ამ ტურნირის ტექნიკური შედეგები იბეჭდებოდა მხოლოდ, ამიტომ ჩემპიონატზე დაწვრილებითი ცნობები არა გვქონია. გვაინტერესებს როგორ ჩაატარეთ ჯგუფური ტურნირი და ვინ გაგიწიათ შეტნაკლებად სერიოზული წინააღმდეგობა?

— ჩვენს ჯგუფში ექვსი გუნდი გამოდიოდა. ყველა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოვიგეთ ერთის გარდა. ჩეხოსლოვაკიელებთან თამაში გაგვიჭირდა და მეტოქეს გამარჯვება, ფაქტიურად, ბოლო წამებზე გამოვგლიჯეთ. ლენინგრადელმა ირინა კუშმა ზუსტად მოათავსა ორი საჯარიმო კალათში და შეხვედრა მოვიგეთ ერთი ქულის უპირატესობით — 76:75.

● გადარჩენილხართ!

— მთლად ასე არ გახლავთ საქმე. ჩვენ წაგების შემთხვევაშიც ნახევარფინალში გავდიოდით და მთავარი ჯილდოსათვის ბრძოლას გავაგრძელებდით, მაგრამ ვინაიდან ჩემპიონობას ვაპირებდით, ერთი მარცხიც შთაბეჭდილებას გაანელებდა.

● რომელი მეტოქე მოგეწონათ ყველაზე მეტად?

— რა თქმა უნდა, ჩეხოსლოვაკიის გუნდი, რომელსაც ახლა უკვე ფინალში შევხვდი და უფრო დამაჯერებლად ვაჯობეთ — 73:65.

● ვინ გამოიჩინა თავი ჩვენს გუნდში?

— იცით, რომელიმე კალათბურთელის ასე კონკრეტულად გამოყოფა გამიჭირდება. ამიტომ გუნდის ძირითად ბირთვს ჩამოგითვლით. ისინი ყველანი ამ წარმატების სრულუფლებიანი თანაავტორები არიან: პენზელი ელენა მოზგოვაია, ლენინგრადელი ირინა კუში, მოსკოველი ელენა ბუნატიანი, როსტოველი ოლგა ტარასენკო და ორი ლიტველი — ინგა ოონკუტე და იოლანტა ვილუტიტე.

● საკუთარ თავზე ლაპარაკი, კარგად გვესმის, ძნელია, მაგრამ მაინც გვაინტერესებს, თქვენ რა როლი გქონდათ დაკისრებული?

— მე, როგორც ცენტრალური თავდამსხმელი, მეტწილად ფარქვეშ ვთამაშობდი და პირველ რიგში ჩვენი კალათის უსაფრთხოებაზე ვაგებდი პასუხს. ფაქტიურად ორნი ვიყავით ცენტრალური თავდამსხმელი, მე და ელენა მოზგოვაია და კრიტიკულ სიტუაციებში ერთმანეთს ვენაცვლებოდით.

● როგორც ჩანს, ამ ტურნირში ჩეხოსლოვაკიას ჰყავდა ყველაზე ძლიერი გუნდი თქვენს შემდეგ.

— საქმე ის არის, რომ ორი კვირით ადრე ამ კალთბურთელებს დასავლეთ გერმანიაში შევხვდით და დიდი ანგარიშით დავამარცხეთ. ამ გამარჯვებამ, როგორც ჩანს, ცუდი სამსახური გაგვიწია, თორემ ობიექტურად საბჭოთა ნაკრები ჩეხოსლოვაკიის გუნდზე გაცილებით უფრო ძლიერია. მეტსაც გეტყვით. ჩეხებზე არანაკლებ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს იუგოსლავიელებმა, რომლებიც ნახევარფინალში თექვსმეტი ქულით დავამარცხეთ. ამ გუნდის სამი წევრი იუგოსლავიის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატი გახლავთ. ეს, მგონი, ბევრს ნიშნავს.

● თქვენ, თუ არ ვცდებით, გაისად მსოფლიო ჩემპიონატი გაქვთ.

— დიახ, გაისად ესპანეთის ქალაქ სან-სებასტიანში 21 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება. ევროპის ჩემპიონატში პირველ ხუთ ადგილზე გასულმა გუნდებმა მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები მიიღეს. ეს იყო დამატებითი სტიმული,

რომელმაც ჩვენი გამარჯვება ერთი-ორად უფრო სასიხარულო გახადა.

● ვინ გახდა ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე?

— ასეთი პრიზი ველიკო-ტირნოვოში არ გათამაშებულა. სამაგიეროდ, ჩემპიონატის შედეგების მიხედვით შედგა ევროპის სიმბოლური ნაკრები, რომელშიც შევიდნენ ორი ჩეხი კალათბურთელი, იუგოსლავიელი დანირა ნაკიჩი და ორი საბჭოთა სპორტსმენი — ირინა კუში და ელენა ბუნატიანი.

თიანეთის ცის ქვეშ...

(დასასრული)

ვადგენლებს მზარში გვიდგას საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტი ვალერი ვაშაკიძე. იგი ჩვენი სპორტსმენების საერთო ფიზიკურ მომზადებას ხელმძღვანელობს. აღსანიშნავია, რომ საერთო ფიზიკური მომზადების გამოცდაში, რომელიც 16-17 ივლისს ჩატარდა, 300 მოზარდიდან 92,3 პროცენტმა ჩააბარა ნორმატივი. მათგან 37 პროცენტმა ფრიადი მიიღო.

● თავისუფალ დროს როგორ ატარებენ ბავშვები?

— დავდივართ ლაშქრობებზე. ვიყავით მდინარე იორზე. თიანეთის კულტურისა და დასვენების პარკში მოვაწყვეთ საჩვენებელი გამოსვლები აკრობატიკასა და მხატვრულ ტანვარჯიშში. მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმში რუსთაველის მხატვრულმა ტანმოვარჯიშეებმა ჩაატარეს პოეზიის საღამო. დიდი ინტერესი გამოიწვია თიანეთის ჭაბუკთა გუნდებისა და ჩვენი სპორტსმენების შეხვედრამ ფრენბურთში, კალათბურთსა და ფეხბურთში. აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო თიანეთის რაიონის ხელმძღვანელებს, რომლებიც ზრუნვასა და ყურადღებას არ გვაკლებენ.

მალე დაიხურება თიანეთის სპორტული ბანაკი. სპორტსმენებს აქ გატარებული დღეები დიდხანს ეხსომებათ.

ჯემალ კახრაძე.
ავტორის ფოტოები.

პრემიები ოლიმპიელებს

1984 წლის ოლიმპიურ თამაშებზე საფრანგეთის სპორტსმენებმა ხუთი ოქროს, შვიდი ვერცხლისა და თხუთმეტი ბრინჯაოს მედალი მიიღეს და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მეცხრე ადგილი დაისაკუთრეს. ამ წარმატების გამეორება სეულში, აპ-ს სააგენტოს მომოძხილველის აზრით, ძნელი იქნება (ლოს-ანჯელესის თამაშებში, როგორც ცნობილია, სოციალისტური ქვეყნები არ მონაწილეობდნენ და ამან ხელი შეუწყო ფრანგებს წარმატებაში), მაგრამ ფრანგები თხუთმეტ ოლიმპიურ მედალს მაინც გეგმავენ.

ამჟამად სეულში იმყოფება საფრანგეთის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელი ჟან ფრანსუა შერი, რომელმაც ადგილობრივ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „ჩვენი სპორტსმენები მედლების მიღებას შეეცდებიან ნიჩბოსნობაში (კანოე), ჭიდაობაში, მძლეოსნობაში, ფარიკაობაში და ცხენოსნობაში“.

ცნობილი გახდა ფრანგი ოლიმპიელების საპრემიო ფონდის ოდენობაც. ვარაუდობენ, რომ ოლიმპიადაში გამარჯვებული ფრანგი სპორტსმენი პრემიის სახით 200 ათას ფრანკს (32 520 ამერიკულ დოლარს) მიიღებს, ვერცხლის მედლის მფლობელი — 100 ათას ფრანკს (16.260 დოლარს), ბრინჯაოსი კი 75 ათას ფრანკს (12 260 დოლარს).

ამ დღეებში პრემიების რაოდენობა განსაზღვრეს ოლიმპიადის მასპინძლებმაც. როგორც იუწყებიან, მძლეოსნობაში გამარჯვებული სამხრეთ კორეელი ოლიმპიელი 100 მილიონ ვონს (137 ათას ამერიკულ დოლარს) მიიღებს. ჯერ არაფერია ნათქვამი სხვა სახეობებზე, მაგრამ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი წევრის განცხადებით, სპორტის დანარჩენ სახეობათა წარმომადგენლები ოლიმპიადაზე გამარჯვებისთვის 100 ათას დოლარზე ნაკლებს არ მიიღებენ.

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

ესპანელთა ლიდერი

თუ დიდ სპორტსმენს ტალანტთან ერთად სპორტული იღბალიც თან ახლავს, იგი ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულად შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ ასეთი ჩოგბურთელი გახლდათ ესპანელი მანოლო სანტანა.

სანტანას დებიუტი საერთაშორისო არენაზე 16 წლის ასაკში შედგა მონტე-კარლოში, მაგრამ მან პირველ დიდ გამარჯვებას მხოლოდ 23 წლის ასაკში 1961 წელს მიაღწია, როცა მოიგო საფრანგეთის ჩემპიონატი. ეს წარმატება გაიმეორა 1964-1965 წლებში. ამ პერიოდისათვის ესპანეთის ნაკრების წარმატებები მთლიანად მანოლო სანტანას თამაშზე იყო დამოკიდებული. მისი წყალობით გუნდი 1965 წელს გავიდა დევისის თასის ფინალში, სადაც შეუპოვარ ბრძოლაში დამარცხდა ავსტრალიის ძლიერ კოლექტივთან.

ესპანელთა ლიდერის ყველაზე დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს 1966 წლის უიმბლდონის ტურნირში გამარჯვება.

იმ წელიწადს სანტანას გამარჯვება ტურნირში აშკარად მოულოდნელი იყო. 1966 წლის გაზაფხულზე დევისის თასის გათამაშების ერთ-ერთ მატჩში მან ტრავმა მიიღო, რამაც იგი გუნდთან ერთად თასისათვის ბრძოლას გამოთიშა. ნაკრების რიგებიდან განთავისუფლებამ სანტანას საშუალება მისცა ინდივიდუალური წვრთნა დაეწყო და მომზადებულიყო სპეციალურად უიმბლდონის შეჯიბრებისათვის. მზადების მიზნით მან ორ ტურნირში მიიღო მონაწილეობა, რომლის მატჩებიც ბალბის კორტებზე ტარდებოდა.

სანტანამ როგორც ფსიქოლოგიურად, ასევე ფიზიკურად მაღალ დონეზე მომზადების მიზნით დატოვა სასტუმრო და საცხოვრებლად გადავიდა კერძო ბინაზე. სწორედ არჩეულმა რეჟიმმა საშუალება მისცა მას ყოველმხრივ მომზადებული შეხვედროდა უიმბლდონის ტურნირს.

ერთ-ერთ თავის ინტერვიუში მან თქვა: „ძალიან გამიმართლა, ხელის ტრავმამ დევისის თასის გათამაშება მეორე წრეშივე დამატოვებინა, რამაც საშუალება მომცა უშუალოდ უიმბლდონის ტურნირისათვის დამეწყო მზადება“.

ასე რომ, მოულოდნელმა შემთხვევამ სანტანას საშუალება მისცა ტრიუმფით მოეგო ყველაზე მნიშვნელოვანი ასპარეზობა.

უიმბლდონის ფინალში სანტანამ დაამტკიცა, რომ როგორც გრუნტის, ასევე ბალახის მოედნებზე იმ წელს მას მართლაც არ ჰყავდა ბადალი. გადამწყვეტ მატჩში 2 საათიან შეუპოვარ ბრძოლაში მისი მეტოქე გახლდათ ამერიკელი რალსტონი. სანტანა თავისი „მოჭრილი“ დარტყმებით უფრო ეფექტურად გამოიყურებოდა და გამარჯვებაც მას დარჩა სამ პარტიაში — 6:4, 11:9, 6:4. უიმბლდონის ძვირფასი თასი 11 წლის შესვენების შემდეგ კვლავ ევროპაში დაბრუნდა.

ამ დიდი გამარჯვების შემდეგ 28 წლის სანტანას პროფესიონალებში გადასვლა შესთავაზეს, მაგრამ იგი მტკიცე უარზე იდგა. ამის შემდეგ სანტანა თავის მდიდარ გამოცდილებას ახმარდა ნიჭიერი ჩოგბურთელების აღზრდას. თავისი სურვილისამებრ მონაწილეობდა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში.

სპორტული კარიერის მანძილზე მიღებული მრავალი საჩუქრიდან სანტანა განსაკუთრებით ამაყობს ჩოგნით, რომლითაც პირველად მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი და ბურთით, რომელზეც ბოლო ზუსტმა დარტყმამ გამარჯვება მოუტანა უიმბლდონის ტურნირში.

პუბლიკაცია მოამზადა
ალექსანდრე ჯიბლაძემ.

ცისფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 10 აგვისტო. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** ჯანმრთელი რომ იყო: ტურიზმი — **21.15 (2);** ვ. სავინის ხსოვნის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ფრენბურთში ვაჟთა შორის: სსრ კავშირი (ნაკრები) — საფრანგეთი (ნაკრები). გადაცემა რიგიდან — **23.50 (2).**

საქართველოს ტელევიზია. 10 აგვისტო. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (თბილისი), 9. აგვისტოს შეხვედრის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი — **21.10.**

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 **უე 05497**